ხელშეკრულება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ

18.01.2021

ერთის მხრივ შპს „იბეროილი“ (ს/ნ 406079586), წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ნიკოლეიშვილის სახით, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი და მეორეს მხრივ შპს „გრანდი“ (ს/ნ 216369409) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალენტინა გორჯოლაძეს სახით, შემდგომში წოდებული, როგორც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღები, საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უვადოდ საკუთრებაში გადასცემს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიმღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ 2021 წლის 12 იანვრის №2-40 ბრძანებით (2005 წლის 17 მარტის №15 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) დამტკიცებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

2. ანგარიშსწორება:

2.1. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელის მიერ გადაწყვეტილების გადაცემა ხორციელდება უსასყიდლოდ.

3. ვალდებულება:

3.1. ნებართვის მიმღები ვალდებულია დაიცვას საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 იანვრის №2-40 ბრძანებით (2005 წლის 17 მარტის №15 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) დამტკიცებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობები.

4. დამატებითი პირობები:

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე და იგი ექვემდებარება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სავალდებულო წარდგენას.

4.2. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამ) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი გადაეცემა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ხოლო თითო-მხარეებს შესანახად.

5. მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „იბერიოლი“	შპს „გრანდი“,
ქ.თბილისი, ი.იუმაშევის ქ.13ე	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი 31
დირექტორი	დირექტორი
მ. ნიკოლეიშვილი	ვ. გორჯოლაძე